სკოლა- სსიპ ჟიული შარტავსას სახელობის ქ. სენაკის N 2 საჯარო სკოლა

სასწავლო წელი - 2022-2023

კათედრა - დაწყებითი

საგანი -ქართული ენა და ლიტერატურა (ი.იაშვილი, ნ.მხეიძე, მ აბასაძე) გამომცემლობა „ტრიასი“**.**

კლასი- IV -ა,ბ

თვე	**თემა**	**საკითხი/ საკითხები ქვეცნება/ქვეცნებები**	**კომპლექსური დავალება**
სექტემბერი -ოქტომბერი	თავგადასავლები დაუჯერებელი ამბები	1. აზნაურ კომოთე ლახუნდარელის თავგადასავალი-ს.კლდიაშვილი. 2. გულივერის მოგზაურობა-ჯ. სვიფტი. 3. თევზის კუჭში-რ.რასპე. 4. ალისა საიცრებათა ქვეყანაში-ლ.კეროლი. 5. დიდი მოგზაურები 6. ორი დღეა დავბრუნდი-ე.ლებანიძე	

ოქტომბერი	ცოდნისა და შრომის აუცილებლობა	1. ცოდნა–ი.ჭავჭავაძე. 2. სამი უნარი–იგავი. 3. სიბრძნის მარცვლები–აღმოსავლური ზღაპარი. 4. მოსწავლე და მასწავლებელი–ა.წერეთელი. 5. ორი ბრძენი–იგავი. 6. განათლება–ძველად და ახლა	
ნოემბერი	ურთიერთობები ზრუნვა, სიკეთე	1. ბიჭი მალხაზი-რ ინანიშვილი. 2. თბილი შოთები ბეზარაშვილი. 3. მერცხლის ბუდე-შატბერაშვილი. 4. რა მალე გავიდა ზაფხული-ნაკაშიძე	დღიურის ჩანაწერის შექმნა მოთხრობა ,,მერცხლის ბუდეზე“ დაყრდნობით. IV-ა,ბ.
დეკემბერი	დაუჯერებელი ამბები	1. ორი ძმა-აფხაზური ზღაპარი. 2. ჭკვიანი მანქანა. 3. ალადინი-აღმოსავლური ზღაპარი. 4. ქალთამზე-ქართული ხალხური ზღაპარი.	

		5. ტელევიზორი,კომპიუტერი. 6. 80000 კმ წყალქვეშ-ჯ. ვერნი.	
იანვარი	ძველი ამბები ადამიანური ურთიერთობები	1. კოპალა-მითი. ბარბალე-მითი. აქილევსი-მითი. 2. დავით ხიზამბარელის ამბავი-ნ შატაიძე. 3. ერეკლე მეფე და ინგილო ქალი-ი.გოგებაშვილი. 4. ლექსი-ანა კალანდაძე.	
თებერვალი	სიკეთე მოხერხებულობა მეგობრობა	1. ხანძარი ტყეში–აღმოსავლური ამბავი. ლექსი–ხალხური. 2. გაბზარული ქოთანი–იგავი. 3. შუშის ბიჭი–ჯ.როდარი. შენი იყოს–ე.ახვლედიანი. 4. მოხერხებული არაბი–ს.ს.ორბელიანი. 5. ქვისგან გაკეთებული წვნიანი–ევროპული იგავი 6. იგავი მთესველზე–სახერებისეუ	

მარტი		ლი იგავი.	
აპრილი	ბუნების სიყვარული ადამიანი და ბუნება ზრუნვა ერთმანეთზე	1. მრავალჟამიერ-ბიბილური. 2. ლექსი-ქვლივიძე. გაზაფხულზე-ჩოხელი. 3. დაკარგული წიგნი-ბელიაშვილი. 4. მახარობელი-ტალიაშვილი.	
	მონატრება, ნოსტალგია	1.ტყე ცოცხალია 2.დ.კობიაშვილის მოგონება 3.გულის სითბო-ნ.ბეაზარაშვილი 4. მჭკნარი ფოთოლი-გ,გეგეჭკორი 5. ხისმაცქერალი კაცის ამბავი-ტოგონიძე.	

მაისი		6. პატარა ბიჭების ფიქრები-რ.ინანიშვილი. 7. რას გალობს შაშვი-ევდოშვილი. 8. მოფრთხილება უნდა-ჩარკვიანი.	
ივნისი	ხელოვნების ძალა	1. მეჩონგურე-ხალხური. სასწაული. 2. მიუხვედრელი მხატვარი-ხეტეშვილის მიხედვით. 3. მეფე და მხატვარი-ს.ს.ორბელიანი. 4. ოსტატები-ინანიშვილი.	

	სასკოლო ამბები სახალისო ამბები	1. უთაური ბიჭის თავგადასავალი–ო.იოსელიანი. 2. ყველაზე კარგი პაპა–დოჩანაშვილი. 3. მოლა ნასრედინის სამეცნიერო შეხვედრა. 4. მოდი,რიცხვები მოვიგონოთ-ჯ როდარი. 5. ბრიყვი და მთვარე. 6. ჩვენ თვითონ არ ვიცით,რას ვშვრებით-ლინდგრენი.	

თემატური მატრიცა
საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა **ძირითადი რესურსი/ტექსტი: გ შატბერაშვილი ,,მერცხლის ბუდე“, I თავი (ჩვენი ეზოს ამბები) გამომცემლობა ,,ტრიასის“ ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებული სახელმძღვანლო მე-4 კლ.; ავტორები: ი. იაშვილი,ნ.მხეიძე, მ. აბესაძე** **დამატებითი რესურსები:** ვიდეორგოლი, სურათი. სქემები, ცხრილები. **კლასი: მე-4** **სკოლა:** **პედაგოგი/პედაგოგები: თამარ მახარაძე, თამარ ლობჟანიძე**
თემა: თანაგრძნობა,ზრუნვა **საათების რაოდენობა**
თემატური მატრიცის სარჩევი ● **შუალედური მიზანი 1. დღიურის ჩანაწერების შექმნა** ***(სამიზნე ცნება: ტექსტი/დღიური)*** ● ***შუალედური მიზანი 2. საინფორმაციო ტექსტის შექმნა მხატვრულ ტექსტზე და სხვადასხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით. - ტექსტი / საინფორმაციო ტექსტი***

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება - ტექსტი (ჟანრი)- (შედეგი (I). 1, 2, 3, 4, 5)).	**საკითხი -** დღიურის ჩანაწერის შექმნა მოთხრობა ,,მერცხლის ბუდეზე“ დაყრდნობით.

ქვეცნებები - მოთხრობა, პერსონაჟი, დღიური, კითხვის სტრატეგიები. **სამიზნე ცნება - გრამატიკა (პრაქტიკული)** (შედეგები: (II). 1, 3, 4, 6) **ქვეცნება** - სინტაქსი, პუნქტუაცია	**ქვესაკითხი -** გ. შატბერაშვილის მოთხრობის - „მერცხლის ბუდე“ დედააზრი; პერსონაჟები (მათი ქცევა, ქცევის მიზეზები, ემოციები, ფიქრები, დამოკიდებულებები); დღიურის მახასიათებლები; ქვეტექსტური ინფორმაცია, არსებითი და არაასებითი დეტალები; სასვენი ნიშნები სხვადასხვა შინაარსის (მოდალობის) წინადადებებთან. **საკვანძო შეკითხვა** - როგორ/რა ხერხებით შევქმნა დღიურის ჩანაწერები? **კომპლექსური დავალების პირობა** წარმოიდგინე, რომ ხარ ერთ-ერთი მერცხალი გ. შატბერაშვილის მოთხრობიდან "მერცხლის ბუდე". ამ მოთხრობაზე დაყრდნობით შექმენი დღიურის **ორი დღის ჩანაწერი** სათაურით: "ჩანაწერები მერცხლის დღიურიდან". დაამთხვიე მზიას ჩანაწერებისა და მერცხლის ჩანაწერების თარიღი (3 ივლისი, 1953, საღამო. 20. 30. და მომდევნო დღე.). დღიურის ჩანაწერებში: ● გამოკვეთე დღიურის მახასიათებლები; ● წარმოაჩინე დეტალები (მაგ., მერცხლის ქცევის მიზეზი, გრძნობები, ფიქრები განსაცდელის დროს, განსაცდელის შემდეგ. მერცხლის დამოკიდებულება ადამიანების მიმართ სხვადასხვა ვითარებაში, ასევე ბარტყებისა და ერთმანეთის მიმართ). ● გამოკვეთე კავშირი მოთხრობის მთავარ სათქმელთან, დედააზრთან; ● გამოიყენე სხვადასხვა შინაარსის (მოდალობის) წინადადებები და სწორად დასვი სასვენი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები (მოსწავლე აცნობიერებს, რომ. . .) 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.	**შეფასების კრიტერიუმი -** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) <u>**ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინე**</u>

3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება. **გრამატიკული კანონზომიერებები** მკვიდრი წარმოდგენები 1. სიტყვები იცვლიან/არ იცვლიან ფორმასა და მნიშვნელობას, ერთიანდებიან წინადადებებად გრამატიკის ნორმების/წესების შესაბამისად;	• დღიურის მახასიათებლები - როგორი აგებულება აქვს, რაზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას (ტ.3); • როგორი იყო მერცხლის გრძნობები, ფიქრები, დამოკიდებულებები, რა მინიშნებები დაგეხმარა ამის გაგებასა და გამოხატვა-წარმოაჩენაში (ტ. 1, 2); • რით//როგორ უკავშირდება შენი შექმნილი დღიურის ჩანაწერები მოთხრობის მთავარ სათქმელს (ტ.1); • რის საფუძველზე დასვი სასვენი ნიშნები ამგვარად (გრ.1).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ მის შესაქმნელად?
- რისი შესწავლა დაგვჭირდება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის უკეთ გასაგებად?. როგორი იყო მერცხლის გრძნობები, ფიქრები, დამოკიდებულებები, რა მინიშებები დაგეხმარა ამის გაგებასა და გამოხატვა-წარმოაჩენაში? (ტ. 1, 2

აქტივობა: 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

ა) მერცხლის ჭიკჭიკის მოსმენა

ბ) მერცხლის ბუდისა და მერცხლის ჩვენება

რესურსი 1: ა) მერცხლის ჭიკჭიკის აუდიუჩანაწერი (ინტერნეტიდან); ბ)მერცხლის სლაიდი ან სურათი

ა). თქვენი აზრით, რომელი ფრინველის ხმიანობაა ჩაწერილი?**(აქტ.1)**როგორ მიხვდით? (გამოცდილებით)

ბ).გინახავთ მერცხალი და მისი ბუდე რეალობაში? გაიხსენეთ, სად გინახავთ ეს ფრინველი ? სად დაგინახავთ მათი ბუდეები?

- ხომ არ დაკვირვებიხართ , ან ხომ არ წაგიკითხავთ, რისგან აკეთებს მერცხალი ბუდეს?
- თქვენი აზრი, რით განსხვავდება ეს ფრინველი სხვა ფრინველისგან? პასუხისას გაითვალისწინე მისი საბინადრო ადგილი. (სხვებისგან განსხვავებით , ადამიანებთან ახლოს უყვართ ბინადრობა)
- თქვენი სახლის აივანზე თუ ჰქონიათ მერცხლებს ბუდე?
- **რა არის მერცხლისთთვის ბუდე? (მისი „სახლია“)**
- ოდესმე დაგინგრევიათ მერცხლის ან სხვა ფრინველის ბუდე?
- **როგორ ფიქრობ, რას გრძნობენ ისინი ამ დროს?**

აქტივობა 2. :
მოთხრობის წარდგენა და წინასწარი **ვარაუდების გამოთქმა** ტექსტის ერთ წინადადებაზე, სათაურსა და პირველი თავის ილუსტრაციებზე დაყრდნობით.
რესურსი 2. ვარაუდების „ბუდეები“; წინადადება მოთხრობიდან: **„აბა, ჩვენ დაგვინგრიონ სახლი, აბა, ჩვენ აგვაწიოკონ, განა არ შეგვეშინდება?!**

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- თქვენი აზრით, რა ამბავი იქნება გადმოცემული ტექსტში? რატომ ფიქრობ ასე, რა მინიშნებებს ეყრდნობი? **(აქტ.2)**

აქტივობა 3. ლექსიკაზე მუშაობა
რესურსი 3. ტექსტის უცნობი სიტყვები
მოსწავლეებმა ფურცლის (დაფის) მარჯვენა მხარეს ჩამოწერილი უცნობი სიტყვები სწორი ხაზით უნდა დაუკავშირონ მის სავარაუდო მნიშვნელობას:

• **ტიტინი**	• გასუსული, გაჩუმებული
• **შეღინღლული**	• ახალამოსული ბუმბულით შემოსილი
• **ალიაქოთი,**	• პატარა პავშვის თავისებური მეტყველება
• **განაბული**	• ხმაური, აურზაური
• **აშოშმინებდნენ**	• აწყნარებდნენ, ამშვიდებდნენ,
• **უყვავებდნენ**	• ეფერებოდნენ, ტკბილად ელაპარაკებოდნენ
• **კანაფი**	• აქ თოკი
• **შურდული**	• ხის ტოტისგან გაკეთებული იარაღი ქვის სასროლად
• **შალაშინი**	• ფიცრის ზედაპირის სუფთად გასათლელი იარაღი

აქტივობა 4. ტექსტის პაუზებით კითხვა
რესურსი 4.მოთხრობა „მერცხლის ბუდე

- მასწავლებლის სამოდელო კითხვა **(პირველი თავი** წინადადებამდე : „ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა“).
- ვარაუდების გამოთქმა და ჩაწერა **„ვარაუდების ბუდეებში“**
- **პირველი თავის ბოლომდე წაკითხვა** მოსწავლეების მიერ გაგარძელებებით და **ვარაუდების გადამოწმება**
- შეკითხვებზე პასუხი წაკითხულის გასააზრებლად

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- ჩამოთვალეთ მოთხრობის პერსონაჟები (პირველი თავის მიხედვით)
- ვინ შეიძლება იყოს სოსე, როგორ მიხვდი? რა მინიშნებებს დაეყრდენი (ილუსტრაცია და)
- რაზე ვერ თანხმდებიან ბაბუა და შვილიშვილები?
- ამ კამათისას რა **არგუმენტი** **ა**ქვს ბაბუას? შვილიშვილებს?
- თქვენი აზრით, რომლის არგუმენტია უფრო დამაჯერებელი და ვის მხარეს დაიჭერდით ამ კამათის დროს?
- ყველაზე მეტად ვისი განცდა ჩანს ტექსტში? სად ჩანს?(ტექსტის შესაბამისი ადგილის წაკითხვა)
- თქვენ რა გამოსავალს ხედავთ ამ, ერთი შეხედვით, გამოუვალი მდგომარეობიდან?
- თქვენი აზრით, რა მოხდება - მოძებნიან გამოსავალს ოჯახის წევრები?
- რა გამოსავალი მოძებნა ნიკომ?
- როგორ მოიქცნენ მერცხლები ბუდის სხვაგან გადატანის შემდეგ?
- რა ახალი საფიქრალი გაუჩნდათ ბავშვებსა და უფროსებს?
- თქვენი აზრით, დაბრუნდებიან თუ არა მერცხლები?

ვარაუდების გამოთქმა წაკითხული ეპიზოდის გათვალისწინებით და **„ვარაუდების ბუდეებში“** ჩაწერა

აქტივობა 5 როგორ აგებენ მერცხლები ბუდეს?**(რესურსი 4)**
რესურსი 5: ვიდეორგოლი (როგორ აგებენ მერცხლები ბუდეს)
https://www.myvideo.ge/v/3781740
აქტივობა 6. ტექსტის წაკითხვა (გაგრძელება)

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- თქვენ თქვით, რომ მერცხლისთვის ბუდე არის იგივე, რაც ადამიანისთვის სახლი. გინახავთ, როგორ აგებენ მერცხლები თავიანთ „სახლს“ - ბუდეს? ახლა ვნახოთ, როგორ აგებენ მერცხლები თავიანთ „სახლს“ - ბუდეს

- რაზე საუბრობდნენ სადილობისას ბებია-ბაბუა და შვილიშვილები?

- რატომ „გაუგემურდა“ სადილი? პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ ეს ნათქვამი თუ გადატანითი - რას გულისხმობს ავტორი?
- თქვენი აზრით, რატომ მოიქცნენ მერცხლები ასე?
- როგორ ახსნეს მერცხლების საქციელი დიდედამ, ნიკომ, მზიამ?
- ვის აზრს დაემთხვა პაპის აზრი მერცხლების საქციელთან დაკავშირებით
- თქვენ რა იფიქრეთ - ვის აზრს დაემთხვა თქვენი აზრი?
- ვინ და როგორ იხსნა ბარტყები შიმშილით დახოცვისაგან?
- „მზიამ და ნიკომ სიხარულის ყიჟინა დასცეს!“ - წერია ტექსტში? თქვენი აზრით, რას ნიშნავს **ყიჟინა დასცეს!“** რამ გაახარა ისინი ასე ძალიან?
- რა ჩაწერა მზიამ თავის დღიურში მერცხლების დაბრუნებასთან დაკავშირებით (წაიკითხეთ ნაწყვეტი)?
- მზიას აზრით, განსაკუთრებით რამ გაალამაზა სახლი?
- თქვენი აზრით, რა იყო მწერლის მიზანი, როცა ამ მოთხრობას წერდა - რა სურდა ეჩვენებინა, რა სურდა ეთქვა ჩვენთვის?
- თქვენ თუ ზრუნავთ ცხოველებსა და ფრინველებზე, როგორც შეგიძლიათ?
- თქვენი აზრით , რა სარგებლობა მოაქვს მერცხალს ადამიანისათვის? ჩვენ მიერ წაკითხულ ტექსტში ეს სადმე წერია? აბა როგორ მიხვდით, ტექსტის რა მინიშნებებს დაეყრდენით?
- მზიას ჩანაწერის მიხედვით, როგორ ასწავლიდნენ, მერცხლები ფრენას ბარტყებს?
- თქვენ თუ შესწრებიხართ ასეთ რამეს?
- რატომ უნდა ზრუნავდეს ადამიანი ბუნებაზე, ფრინველებზე? ცხოველებზე?

აქტივობა 7.პერსონაჟების დახასიათება
რესურსი 7. აქტივობის ბარათი პერსონაჟის დახასიათების ცხრილით

დავალების ბარათი

- ქვემოთ მოცემული “სიტყვების სკივრიდან” აირჩიე ორ -ორი ისეთი სიტყვა, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერება მოთხრობის პერსონაჟებს
- ეს სიტყვები ჩაწერე ცხრილში შესაბამის ადგილას (მეორე სვეტში).
- მესამე სვეტში ჩაწერე არგუმენტი (რატომ ფიქრობ ასე). აქვე მიუწერე შესაბამისი ადგილი ტექსტიდან (შემოკლებით)

გულთბილი, ბრაზიანი, მოხერხებული, ხელმარჯვე, მორცხვი, მშიშარა, მიხვედრილი, უინტერესო, მზრუნველი, კეთილი, გულჩვილი, ჭირვეული, მხიარული, საზრიანი, ფუსფუსა, ავი, ფიცხი (ადვილად რომ ბრაზდება), მოსიყვარულე, დაუზარელი, განათლებული, გულგრილი, მტირალა, პრანჭია, უშიშარი,

პერსონაჟი	თვისება	არგუმენტი,	შესაბამისი ადგილი ტექსტიდან
პაპა გაბრიელი -	ფიცხი	ადვილად გაბრაზდა	გაბრაზებულმა მაგიდის კუთხეს მაგიდის კუთხეს ხელი, მთელი ძალით დაჰკრა
დიდედა -			
მზია -			
ნიკო -			
სოსე - ვანო			

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- როგორია პაპა გაბრიელი? რატომ ფიქრობ ასე? მოიყვანე ადგილი ტექსტიდან
- **როგორია დიდედა?** რატომ ფიქრობ ასე? მოიყვანე ადგილი ტექსტიდან.
- როგორია მზია? რატომ ფიქრობ ასე? მოიყვანე ადგილი ტექსტიდან
- როგორია ნიკო? რატომ ფიქრობ ასე? მოიყვანე ადგილი ტექსტიდან
- როგორია სოსე ?რატომ ფიქრობ ასე? მოიყვანე ადგილი ტექსტიდან

ნაბიჯი 2. რის საფუძველზე დასვი სასვენი ნიშნები ამგვარად (გრ.1).

აქტივობა 1: *სხვადასხვა მოდალობის წინადადებებზე მუშაობა*
რესურსი 1 : დავალების ბარათი სხვადასხვა მოდალობის წინადადებებით

დავალების ბარათი

ქვემოთ მოცემულია 10 წინადადება.
ა) ***ამ წინადადებებს თქვენი ვარაუდით დაუსვით სასვენი ნიშნები:***

1. *ჩვენს სოფელს ხევი აუშნოებს.*
2. *ვინ წამოვა ჩვენთან ერთად*
3. *გგონიათ, მეტის თქმა უნდათ*
4. *მალხაზის მეგობარი ხევში ნაგვის დამყრელებს ეჩხუბა*
5. *ბიჭებო, რატომ გააფუჭეთ მალხაზის გაკეთებული*
6. *ჩქარა წამოდი, რაღაც უნდა გაჩვენო*
7. *როგორ უნდა ვუთხრა, ცუდია-მეთქი*
8. *უჰ, რა კარგი ბიჭი ყოფილა მალხაზი*
9. *ვაი, როგორ გაუფუჭებიათ ყველაფერი*

10. ნუ არქმევ ყველაფერს შენს სახელს, მალხაზ

ბ) **განათავსეთ წინადადებები მოცემულ ცხრილში, შესაბამისი სათაურის (სასვენი ნიშნის) ქვეშ.**

. **თხრობითი**	? **კითხვითი**	! **ძახილის**	?! **კითხვა-ძახილის**	! **ბრძანებითი**
1.---------- 2.---------- 3. ----------	1.---------- 2. ---------- 3----------	1.—---------- 2.---------- 3----------	1.---------- 2---------- 3. .----------	1.---------- 2.---------- 3.----------

*გ). **თქვენ თვითონ მოიფიქრეთ სხვადასხვა შინაარსის** (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვით-ძახილის, ბრძანებითი) **თითო წინადადება და დაამატეთ ცხრილის შესაბამის სვეტში.***

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- *რატომ ფიქრობ, რომ პირველ სვეტში ჩაწერილი წინადადებები ნამდვილად თხრობითია?*
- *შეიძლება თუ არა, ეს თხრობითი წინადადებები ვაქციოთ კითხვითად? როგორ? აქციეთ ისინი კითხვით წინადადებებად და ჩაწერეთ შესაბამის სვეტში.*
- *რატომ ფიქრობთ, რომ მეორე სვეტში ჩაწერილი წინადადებები ნამდვილად კითხვითია? (შიგ **კითხვითი სიტყვებია).***
- *რამდენი სახის კითხვითი წინადადება იცით **(კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი).***
- *მიიფიქრეთ და კითხვით წინადადებებს დაამატეთ ერთი **არაკითხვითსიტყვიანი კითხვითი** წინადადება (მაგ.,სოფლის ბიჭები მალხაზის გაკეთებულს აფუჭებდნენ?)*
- *შეიძლება თუ არა მოცემული კითხვითი წინადადებები ვაქციოთ თხრობითად , მხოლოდ სასვენი ნიშნების შეცვლით? რატომ?*
- *რომელი კითხვითი წინადადება შეიძლება ვაქციოთ თხრობითად> (არაკითხვითსიტყვიანი: **მაგ.,სოფლის ბიჭი მალხაზის გაკეთებულს აფუჭებდნენ)***

- *თქვენი აზრით, მესამე სვეტში ჩაწერილი წინადადებები რატომაა ძახილის? რამ მიგანიშნათ ამაზე? **(არ უნდა თქვას სასვენმა ნიშანმაო, რადგან ნიშანი თვითონ დასვა - ყურაღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ გრძნობას გამოხატავს).***
- *რომელ სვეტში ჩაწერილ წინადადებებს აქვს ორი სასვენი ნიშანი? რომელი სასვენი ნიშნებია ეს? როგორი წინადადებები ეწოდება ასეთ წინადადებებს?*
- *რამ გაფიქრებინა, რომ მეოთხე სვეტში სწორედ ეს წინადადებები ჩაგეწერა? რატომ გგონიათ, რომ ეგ წინადადებები **კითხვა-ძახილისაა?***
  რით ჰგავს ისინი კითხვით და ძახილის წინადადებებს? რა ცოდნა-გამოცდილება დაგეხმარა მათ ამოცნობაში?

- *რატომ ჩაწერე მეხუთე სვეტში ეს წინადადებები?*
- *რომელი სიტყვები გამოხატავს ამ წინადადებებში თხოვნას ან ბრძანებას?*
- *დააკვირდით, რომ მესამე და მეხუთე სვეტის წინადადებებს ერთნაირი სასვენი ნიშანი (!) აქვს. ე. ი. როგორი შინაარსის წინადადებებს აქვს ერთნაირი სასვენი ნიშანი? **შინაარსით რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან - რას გამოხატავს ძახილის წინადადება და რას გამოხატავს ბრძანებითი წინადადება?***

- ნაბიჯი 3. დღიურის მახასიათებლები(ტ.3)რით//როგორ უკავშირდება შენი შექმნილი დღიურის ჩანაწერები მოთხრობის მთავარ სათქმელს? რისი თქმა გინდოდა მერცხლის დრიურის ჩანაწერების შექმნი? რა სტრატეგიები გამოიყენე დღიურის ჩანაწერების დასაწერად?

აქტივობა 1: სიტყვაზე **„დღიური“** დაკვირვება; წარმომავლობაზე (ეტიმოლოგიაზე) ყურადღების მიქცევა. მსგავსი სიტყვების მოფიქრება.
რესურსი 1 :

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- დააკვირდით სიტყვას **„დღიური“.** რომელი სიტყვისგანა მიღებული? (**დღე**). **(აქტ.1)**
- მოიფიქრეთ მსგავსი სიტყვები (კვირეული, წლიური). თქვენი აზრით, რას ნიშნავს თითოეული მათგანი? (კვირეული - რაც კვირის განმავლობაში მოხდა ან უნდა მოხდეს, წლიური - რაც... დღიური - ....)
- სასკოლო დღიური გქონიათ ან გინახავთ? რა იწერებოდა შიგ?
- სხვაგვარი დღიურიც არსებობს. ჩვენი მოთხრობის პერსონაჟთაგან ვინ წერდა დღიურს? მზიას დღიურის რამდენი ჩანაწერი გვაქვს მოთხრობაში?
- დააკვირდით მზიას დღიურის ორივე ჩანაწერს. რა მახასიათებლები ჰქონია დღიურს?

აქტივობა 2: დღიურის მახასიათებელების გამოკვეთა.
რესურსი 2: მზიას დღიურის ჩანაწერები (მოთხრობა „მერცხლის ბუდე“)

ჩანაწერი 1.	ჩანაწერი 2.
ivlisi, 1953 w. saRamo. 20:30 sT.	

ise daRamda, rom mercxlebi mainc ar mofrindnen. nuTu marTla mSobliuri grZnoba ar gaaCniaT, rogorc dilas dideda katom Tqva. ara, ara, me mjera.. sacodavi bartyebi ise dasustdnen, rom Tavs veRar swevdnen maRla. ra Wkviani Zamiko myavs, ra kargad moifiqra: ezoSi auarebeli WiaRua movagroveT da bartyebs mivutaneT, rom mogesminaT, SegebralebodaT, iseTi JRurtuli da Wyipini atexes. kargad gaZRnen da daiZines... es rom ar mogvefiqrebina, vin icis, gauZlebdnen Tu ara mTeli dRe-Ramis SimSils. Tu mercxlebi ar mofrindebian... papa gabrieli igvianebs. vici, isic wuxs. magram sada scalia Cveni bartyebisaTvis, saqme aqvs... netav mercxlebi xval diliT mainც მოფრინდებოდნენ...	rom icodeT, rogor galamazda Cveni saxli. mixaria, rom axali sufTa saxli gvaqvs. mixaria, rom budec uvnebeli gadarCa da mercxlebic bednierebi arian. axla isini frenas aswavlian bartyebs. Tu ar ginaxavT, unda usaTuod naxoT, rogor aswavlis mercxali Tavis bartyebs frenas. guSinwin deda mercxali mofrinda budesTan, budis pirdapir frTebis farfatiT haerSi gaCerda da WiaRuaTi gamotenili niskarti axlos miutana yvelaze Tamam bartys. bartyi budidan amoforTxda, mis napiras Camojda da frTebis qanaobiT da JRurtuliT sTxovda dedas sakvebs. mercxali axlos, sul axlos miutanda niskarts budidan gadmoxril bartys da aivanze gaiqrolebda. uceb bartyma Tavi veRar Seimagra, budes moswyda, SeifarTxala da... isic gafrinda, dedas daedevna...niko, me da dideda kato xSirad vsxedvarT aivanze da sulganabulni SevcqeriT am sanaxaobas.	

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- მზიას დღიურის რამდენი ჩანაწერია მოცემული?**(აქტ 2)**

- დააკვირდით მზიას პირველ ჩანაწერს. თავში, დასაწყისში, რა წერია (თარიღი)?
- მზიას რა გრძნობაა გადმოცემული პირველ ჩანაწერში? წაიკითხე შესაბამისი ადგილი.
- დააკვირდით მზიას დღიურის მეორე ჩანაწერს. პირველი ჩანაწერისგან განსხვავებით **,** მზიას რა გრძნობებია გადმოცემული მეორე ჩანაწერში? (სიხარული, აღტაცება). წაიკითხე შესაბამისი ადგილი
- რით არის გამოწვეული მზიას სიხარული?
- **რა ამბავს ჰყვება** მზია მეორე ჩანაწერში? (როგორ ასწავლიდნენ მერცხლები ბარტყებს ფრენას).
- თქვენი აზრით, რატომ ჰყვება მზია ამ ამბავს, იმ დღეების განმავლობაში ხომ სხვა რამეც მოხდებოდა (ეს ამბავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო მისთვის).
- დააკვირდით ორივე დღიურის ჩანაწერს. რომელი პირი საუბრობს - პირველი, მეორე თუ მესამე? **წაიკითხეთ შესაბამისი ადგილი მზიას დღიურიდან**
- მზიას დღიურზე დაკვირვებით, რაზე შეიძლება წერდეს ადამიანი თავის დღიურში? (თავის გრძნობებზე, თავის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან და საინტერესო ამბებზე, თავის ოცნებაზე, ნატვრაზე...)
- პირველი ჩანაწერისგან განსხვავებით, რა აკლია მზიას დღიურის მეორე ჩანაწერს? (დათარიღება).
- თქვენი აზრით, აუცილებელია თუ არა დღიურის ჩანაწერებისთვის თარიღის მითითება? რატომ?

აქტივობა 3:
დღიურის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება.

რა უნდა ახასიათებდეს დღიურის ჩანაწერს?
დღიურის მახასიათებლები

1. **თარიღი;**
2. პირველი პირით საუბარი (მოყოლა);
3. ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი და საინტერესო ეპიზოდების გადმოცემა;

4. მიშვნელოვან ამბებთან დაკავშირებული გრძნობების, განცდების, დამოკიდებულებების გადმოცემა.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა:
აქტივობა: დღიურის ჩანაწერების პირველადი ვარიანტის დაწერა და გაუმჯობესება კრიტერიუმებთან შედარებით
რესურსი: მოსწავლეთა ნამუშევრები

აქტივობა . საბოლოო ვარიანტის შექმნა, გაფორმება და წარდგენა.

დავალების წარდგენისას დასასმელი შეკითხვების ბანკი

- როგორ ამოიცანი პერსონაჟების ქცევის მიზეზი? რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება? (ტ. 1, 2);
- როგორ ამოცანი პერსონაჟის გრძნობები, ფიქრები, დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟების მიმართ? რომელი მინიშნებები მოგეხმარა მათ ამოცნობაში?(ტ. 1, 2);
- რომელ ეპიზოდზე/ეპიზოდებზე გაამახვილე ყურადღება შენს დღიურის ჩანაწერებში და რატომ? (ტ. 2);
- რა ცოდნა/ გამოცდილება დაგეხმარა დღიურის შექმნაში?(ტ.3)
- რა ცოდნა/გამოცდილება დაგეხმარა სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებაში? (გრ. 1)
- რა სტრატეგიებს მიმართე დღიურის შექმნისას?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე - რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? განსაკუთრებით რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
სამიზნე ცნება - ტექსტი (ჟანრი) **ქვეცნება** -საინფორმაციო ტექსტის შინაარსი, სტრუქტურა, ენა	**საკითხი - საინფორმაციო ტექსტის შექმნა მერცხალზე** **ქვესაკითხი -** მნიშვნელვანი ინფორმაციები მერცხალზე მხატვრულ ტექსტიდან „მერცხლის ბუდე“ და საინფორმაციო ტექსტიდან „მერცხალი“. საინფორმაციო ტექსტის მახასიათებლები (შინაარსი, სტრუქტურა, ენა); ძირითადი საკითხები: მერცხლის გარეგნობა, საბინადრო ადგილი, კვება, ცხოვრების წესი, სარგებლიანობა; მიზეზშედეგობრიობის აღმნიშვნელი სიტყვები (რადგან, ამიტომ, რის გამოც,..); აბზაცები; **სტრატეგიები - მაორგანიზებელი სქემა, პირველადი ვერსიის გაუჯობესება კრიტერიუმების მიხედვით;** **საკვანძო შეკითხვა** - როგორ, რა ხერხების გამოყენებით შევქმნა საინფორმაციო ტექსტი მხატვრულ ტექსტზე („მერცხლის ბუდე“) და მცირე საინფორმაციო ტექსტებზე დაყრდნობით ? რა სტრატეგიები/ხერხები გამოვიყენო იმ საინფორმაციო ტექსტების უკეთ გასაგებად, რომლებსაც უნდა დავეყრდნო? **კომპლექსური დავალების პირობა–**

	სათაურით „მერცხალი“ შექმენი საინფორმაციო ტექსტი. ამისთვის გამოიყენე მოთხრობა „მერცხლის ბუდე“, სახელმძღვანელოში მოცემული საინფორმაციო ტექსტი და აქტივობის ბარათში მოცემული დამატებითი ინფორმაციები. შენს შექმნილ საინფორმაციო ტექსტს შეგიძლია დაურთო მერცხლის ცხოვრების ამსახველი რაიმე ფოტო//ფოტოები ან შენი ნახატები (ფრენის, ბუდის შენების, ბარტყების კვების და ა.შ.). ნამუშევარში: ● გამოკვეთე დეტალები: როგორი გარეგნობა აქვს მერცხალს? სად ბინადრობს? როგორ და რით ივებება? როგორია მისი ცხოვრების წესი (ბუდის აშენება, ბარტყებზე ზრუნვა...)? რა სარგებლობა მოაქვს სხვა ჩიტებისთვის, ადამიანისთვის; ● გამოკვეთე აბზაცები; ● გამოიყენე მიზეზშედეგობრივი კავშირების გამომხატველო სიტყვები.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი -** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) **ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ● როგორ, რის მიხედვით გამოკვეთე აბზაცები, რა ძირითადი საკითხები გამოყავი (ტ.1, 2, 3); ● რა/რომელი ენობრივი საშუალებები გამოიყენე მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოსახატავად (ტ.3).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- **თავისი სიტყვებით ვინ ახსნის, რას მოითხოვს დავალება თქვენგან? რა უნდა შექმნათ? ვინმეს ხომ არ უნდა რაიმეს დამატება?**
- **გაიხსენეთ, მსგავსი დავალება ადრე ხომ არ გაგიკეთებიათ? რა თემას ეხებოდა?**

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. მიზეზშედეგობრივი კავშირები - რა/რომელი ენობრივი საშუალებები გამოიყენე ამ მიზნით.

აქტივობა 1. მიზეზშედეგობრიობის გამომხატველი წინადადებებზე მუშაობა; სიტყვების - „რადგან“,ამიტომ“ - მიზნობრივად გამოყენება ;

რესურსი 1. დაფაზე დაწერილი წინადადებები

მოცემულია წინადადებები. დააკვირდით მათ, რათა უპასუხოთ შეკითხვებს

1. რადგან ზარმაცას ბეწვში მიკროსკოპული წყალმცენარეები ბინადრობენ, ამიტომ მის ბეწვს ხშირად მომწვანო ფერი აქვს.
2. სირაქლემას შეუძლია მტერი ფეხებით მოიგერიოს, რადგან მას ძალიან ძლიერი ფეხები აქვს.
3. რადგან პანდა ბამბუკის ფოთლებითა და ყლორტებით იკვებება, ამიტომ მას „ბამბუკის დათვს“ ეძახიან.
4. პანდა მთელ დღეს ძილში ატარებს, ამის გამო მას ღამით უწევს საკვებზე ზრუნვა.

5. ------მერცხალს კუდი ორად აქვს გაყოფილი, ----- მას „კუდმაკრატელა“ დაარქვეს.

-

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- რამდენი წინადადებისგან (ნაწილისგან) შედგება თითოეული წინადადება რატომ ფიქრობთ ასე?
- რატომ, რა მიზეზით არის ზარმაცას ბეწვი მომწვანო ფერის? პირველი წინადადების რომელი ნაწილი - პირველი თუ მეორე - გვცემს პასუხს ამ შეკითხვაზე ? წაიკითხეთ (რადგან ზარმაცას ბეწვში მიკროსკოპული წყალმცენარეები ბინადრობენ),
- პირველი წინადადების პირველ ნაწილში რა არის მოცემული - მიზეზი თუ შედეგი? (მიზეზი), მეორე ნაწილში? (შედეგი) წაიკითხეთ შედეგის გამომხატველი წინადადება (ამიტომ მის ბეწვს ხშირად მომწვანო ფერი აქვს.).
- რომელი სიტყვით იწყება მიზეზის გამომხატველი წინადადება? (რადგან), შედეგის? (ამიტომ)
- მეორე (2) წინადადების მიხედვით . რატომ, რის გამო ახერხებს სირაქლემა მტრის მოგერიებას ფეხებით?
- მეორე წინადადების რომელი ნაწილი - პირველი თუ მეორე - გვცემს პასუხს ამ შეკითხვაზე ? (მეორე) წაიკითხეთ (რადგან ძალიან კარგი სმენა და მხედველობა აქვს).
- რა არის აქ გადმოცემული - მიზეზი თუ შედეგი? (მიზეზი) . რომელი სიტყვით იწყება? (რადგან)

- შეადარეთ ერთმანეთს პირველი (1) და მეორე (2) წინადადებები. პირველი (1) წინადადების რომელ ნაწილშია მოცემული მიზეზი ? (პირველში). მეორე (2)წინადადებაში რომელ ნაწილშია მიზეზი?((მეორე ნაწილში).

- რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან? (მიზეზი ან შედეგი წინადადების პირველ ნაწილშიც შეიძლება იყოს და მეორე ნაწილშიც).

- შეიძლება თუ არა მეორე წინადადებაში გადავანაცვლოთ მიზეზისა და შედეგის გამომხატველი ნაწილები? როგორ? (რადგან მას (სირაქლემას) ძალიან ძლიერი ფეხები აქვს, შეუძლია მტერი ფეხებით მოიგერიოს)
- შედეგის გამომხატველი რომელი სიტყვა შეგვიძლია ამ წინადადებაში ჩავამატოთ)? სად ? (ამიტომ - მეორე ნაწილის დასაწყისში).
- რომელ წინადადებას დაემსგავსა აგებულებით ჩვენ მიერ გადაწყობილი წინადადება. (პირველსა და მესამეს) რატომ, რით დაემსგავსა?
- დააკვირდით მეოთხე (4) წინადადებას. თქვენი აზრით, ამ წინადადების რომელი ნაწილი გამოხატავს მიზეზს? შედეგს?

- რა შეკითხვა შეიძლება დავუსვათ მეოთხე წინადადების იმ ნაწილს, რომელიც შედეგს გამოხატავს (რატომ უწევს პანდას საკვებზე ზრუნვა ღამით?);
- მეოთხე წინადადების რომელი ნაწილი პასუხობს ამ შეკითხვას? (პანდა მთელ დღეს ძილში ატარებს). ეს შედეგია თუ მიზეზი? (მიზეზი)
- რა სიტყვით/სიტყვებითაა დაწყებული მეოთხე წინადადების ის ნაწილი, რომელიც შედეგს გამოხტავს (ამის გამო)
- მეოთხე წინადადების რომელი ნაწილი გამოხატავს მიზეზს? (პირველი: პანდა მთელ დღეს ძილში ატარებს,)
- არის თუ არა მეოთხე წინადადების პირველ ნაწილში მიზეზის გამომხატველი სიტყვა ? (არა). მაშ, როგორ მიხვდით, რომ პირველი ნაწილი მიზეზს გამოხატავს? (შინაარსით)
- შეიძლება თუ არა მეოთხე წინადადების პირველ ნაწილში ჩავსვათ მიზეზის გამომხატველი სიტყვა? რომელი? (შეიძლება - ეს სიტყვაა „რადგან“)
- თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა მიზეზშედეგობრივ წინადადებაში გამოტოვებული იყოს მიზეზის გამომხატველი სიტყვა/სიტყვები „ამიტომ“, „ამის გამო?“ (შეიძლება)
- წაიკითხეთ პირველი (1) და მესამე (3) წინადადებებიისე, რომ წაკითხვისას გამოტოვოთ მიზეზის გამომხატველი სიტყვა „ამიტომ“. მოხდა თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება - შეიცვალა თუ არა წინადადების აზრი/ შინაარსი? (არა).
- დააკვირდით მეხუთე წინადადებას. მასში გამოტოვებულია მიზეზისა და შედეგის გამომხატველი სიტყვები. დავამატოთ ამ წინადადებას გამოტოვებული სიტყვები (რადგან მერცხალს კუდი ორად აქვს გაყოფილი, ამიტომ/ამის გამო მას „კუდმაკრატელა“ შეარქვეს).
- შეიძლებოდა თუ არა ამ (5) წინადადებაში გამოგვეტოვებინა სიტყვა „რადგან“? „ამიტომ“?. წაიკითხეთ ეს წინადადება, ჯერ ერთის (რადგან), შემდეგ - მეორის (ამიტომ) გამოტოვებით.
- თქვენი აზრით, შეიძლებოდა თუ არა ამ (5) წინადადებაში ერთდროულად გამოგვეტოვებინა ორივე სიტყვა - მიზეზის გამომხატველიც და შედეგის გამომხატველიც? რატომ? რა შეიცვლებოდა?

დასკვნა:

1. მიზეზის გამომხატველი სიტყვებია: **რადგან, რადგანაც**

2. შედეგის გამომხატველი სიტყვები: **ამიტომ, ამის გამო**

3. **მიზეზი** ან **შედეგი** წინადადების **პირველ ნაწილშიც** შეიძლება იყოს და **მეორე ნაწილშიც.**

4. ზოგჯერ შეიძლება **გამოტოვებული იყოს მიზეზის ან შედეგის გამომხატველი სიტყვები,**

მაგრამ ისინი იგულისხმება, ამიტომ მათი აღდგენაც შეიძლება.

აქტივობა : **მიზეზშედეგობრიობის გამომხატველი წინადადებების შექმნა სიტყვების „რადგან“,**

„ამიტომ“ გამოყენებით.

რესურსი: **აქტივობის ბარათი**

აქტივობის ბარათი

დავალება: 1.

ქვეემოთ მოცემულია რომლებშიც გამოტოვებულია მზეზსედეგობრიობისს გამომხატველი სიტყვები („რადგან“, ამიტომ , ამის გამო) ჩასვი გამოტოვებული სიტყვები და შექმენი **მიზეზშედეგობრიობის** გამომხატველი წინადადებები

---------- მერცხლები ქორზე სწრაფად დაფრინავენ, ---------- მათ ქორის სრულებით არ ეშინიათ.

ბუდის სხვაგან გადატანამ მერცხლები ძალიან შეაშინა, --------- ისინი მთელი დღე აღარ გამოჩენილან

ბავშვებმა ეზოში ჭიალუა შეაგროვეს და ბარტყებს აჭამეს, ---------- ისინი ძალიან მშივრები იყვნენ.

თავიანთი ბუდე უვნებელი დახვდათ, ----------მერცხლებს ადამიანების აღარ ეშინოდათ

დავალება 2

თქვენი შექმნილი წინადადებების ის ნაწილი, რომლებიც აღნიშნავს მიზეზს, გახაზეთ ერთი ხაზით (ანდა ლურჯად), ხოლო რომელი ნაწილიც აღნიშნავს შედეგს, გახაზეთ ორი ხაზითთ (ანდა წითლად)

თქვენ მიერ შექმნილი წინადადებების რომელი ნაწილი აღნიშნავს მიზეზს? **თქვენ მიერ შექმნილი წინადადებების რომელი ნაწილი აღნიშნავს შედეგს?**

ნაბიჯი 2. დეტალები ძირითადი საკითხების მიხედვით - როგორი გარეგნობა აქვს მერცხალს? სად ბინადრობს? რით და როგორ იკვებება? როგორ იშენებს ბუდეს?, როგორ ზრუნავს ბარტყებზე? რა სარგებლობა მოაქვს?

რა სტრატეგიები/ხერხები გამოვიყენო იმ საინფორმაციო ტექსტების უკეთ გასაგებად, რომლებსაც უნდა დავეყრდნო?

აქტივობა: დამოუკიდებელი მუშაობა მცირე საინფორმაციო ტექსტზე

რესურსი: აქტივობის ბარათი მცირე საინფორმაციო ტექსტ**ით**

აქტივობის ბარათი

ყურადღებით წაიკითხე ქვემოთ მოცემული სამი ინფორმაცია მერცხლის შესახებ:

1.მერცხალი ჭკვიანი ფრინველია, ასხვავებს მტერ-მოყვარეს - მხოლოდ მას ენდობა, ვინც, „მისი აზრით“, ამას იმსახურებს. 2. რადგან მიწაზე იშვითად სხდებიან, ამიტომ მერცხლები ფრენისას ჭამენ და სვამენ . 3. ისინი ანადგურებენ უამრავ მავნე მწერს, მათ შორის -კოღოებს.

დავალება 1.

უპასუხეთ შეკითხვებს:

- **როგორი ფრინველია მერცხალი, მისი რა ქცევიდან ჩანს ეს? ----------**

- **რა სარგებლობა მოაქვს მერცხალს ადამიანისთვის?----------**
- **რით განსხვავდება მერცხლების კვების პროცესი სხვა ფრინველების კვების პროცესისგან?----------**
- **რატომ ჭამს მერცხალი ფრენისას? ----------**
- **რომელ წინადადებაშია მიზეზშედეგობრიობის გამომხატველი სიტყვები?. შემოხაზეთ**

  ა) 1 წინადადებაში; ბ) 2 წინადადებაში; გ) 3 წინადადებაში

- **რომელი სიტყვა აღნიშნავს მიზეზს? რომელი სიტყვა აღნიშნავს შედეგს? ჩაწერეთ ეს სიტყვები----------**

- **კიდევ რომელ წინადადებაში და სად (რომელი სიტყვის შემდეგ) შეიძლება ჩავსვათ სიტყვა „ამიტომ“ ? ჩასვი და ისე გადმოიწერე ეს წინადადება----------**

- **დავალება 2**

კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ბარათში მოცემული სამი დამატებითი ინფორმაცია.

1.მერცხალი ჭკვიანი ფრინველია, ასხვავებს მტერ-მოყვარეს - მხოლოდ მას ენდობა, ვინც, „მისი აზრით“, ამას იმსახურებს. 2. რადგან მიწაზე იშვითად სხდებიან, ამიტომ მერცხლები ფრენისას ჭამენ და სვამენ . 3. ისინი ანადგურებენ უამრავ მავნე მწერს, მათ შორის -კოღოებს, რომლებსაც ბევრი ფრინველი არ ჭამს.

- მხატვრულ ტექსტში, (მაგალითად მოთხრობაში) ბევრი რამ არის ხოლმე გამოგონილი, მწერლის ფანტაზიით შექმნილი, მაგრამ შეიძლება ზოგი რამ სინამდვილეც იყოს. ასეა „მერცხლის ბუდეშიც“. ზემოთ მოცემული სამი ინფორმაციიდან რომელი ინფორმაცია ადასტურებს მოთხრობაში **„მერცხლის ბუდე“** გადმოცემული ამბის **- (ბუდის სხვაგან გადატანისას რომ გაფრინდნენ მერცხლები და რაღაც ხნის შემდეგ ისევ რომ დაბრუნდნენ)** მართებულობას? შემოხაზე ამ წინადადების რიგითი ნომერი.

ა) 1 წინადადება; ბ) 2 წინადადება; გ) 3 წინადადება

- ზემოთ მოცემული რომელი ინფორმაციის შესაბამისია შემდეგი წინადადება **„მერცხლის ბუდიდან“: „ეზოში აუარებელი ჭიაღუა შევაგროვეთ და ბარტყებს მივუტანეთ... კარგად გაძღნენ “?** შემოხაზე ამ წინადადების რიგითი ნომერი

ა) 1 წინადადების; ბ) 2 წინადადების; გ) 3 წინადადების.

აქტივობა 3. „ ვიცოდი - გავიგე“

რესურსი 3: ცხრილი „ვიცოდი, გავიგე“

ცხრილი ივსება დაფაზე მასწავლებლის დახმარებით

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- რა იცოდით მერცხლის შესახებ? ჩაწერეთ სვეტში **„ვიცოდი“**
- რა გაიგეთ ახალი მხატვრული ტექსტიდან „მერცხლის ბუდე“. ჩაწერეთ სვეტში „**გავიგე“**
- რა გაიგეთ ახალი აქტივობის ბარათში მოცემული დამატებითი ინფორმაციიდან? ჩაწერეთ სვეტში **„გავიგე“**

აქტივობა 4. საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა და გააზრება; დასრულება ცხრილისა „ვიცოდი - გავიგე“

რესურსი 4. საინფორმაციო ტექსტი „მერცხალი“(სახელმძღ. გვ.18, „)

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- რატომ უყვართ მერცხალი სხვა ფრინველებს, რა სარგებლობა მოაქვს მათთვის?
- როგორ აფრთხილებს მერცხალი სხვა ფრინველებს საფრთხის მოახლოებისას?
- რატომ არ ეშინია მერცხალს ქორის?
- რა სარგებლობა მოაქვს მერცხალს ადამიანისათვის?
- რომელ მავნე მწერს ანადგურებს მერცხალი?

ნაბიჯი 2. როგორ, რის მიხედვით გამოკვეთე აბზაცები?; როგორ, რა ხერხების გამოყენებით შევქმნა საინფორმაციო ტექსტი?

აქტივობა 1. ინფორმაციების ორგანიზება მაორგანიზებელი ცხრილის მეშვეობით

რესურსი 1. მაორგანიზებელი ცხრილი

მაორგანიზებელი ცხრილი

(ეს ცხრილი ივსება ყველა მითითებული ტექსტებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე)

მერცხალი	
გარეგნობა	
საბინადრო გარემო	
კვება	

ცხოვრების წესი (ბუდის აგება, ბარტყებთან ურთიერთობა. მათზე ზრუნვა)	
სარგებლიანობა	
სხვა ინფორმაცია	

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- როგორი გარეგნობა აქვს მერცხალს? (აქტ.1)
- სად , როგორ ადგილებში ბინადრობს?
- რით და როგორ იკვებება?
- როგორ და რისგან აგებს ბუდეს?
- როგორ უვლის ბარტყებს?
- რა სარგებლობა მოაქვს მერცხალს ადამიანისთვის, სხვა ჩიტებისთვის?
- კიდევ რა იცით მერცხლის შესახებ?
- როგორ ფიქრობ, რამდენი განხვავებული საკითხი გამოიკვეთება შენს ნაშრომში?
- რამდენი აბზაცი დაგჭირდება აქედან გამომდინარე?
- როგორ დაიწყებდი საინფორმაციო ტექსტს მერცხალზე ?
- როგორ დაასრულებდი?

აქტივობა 5,კომპლექსური დავალების პირველადი ვარიანტის შექმნა და დახვეწა კრიტერიუმების საფუძველზე

რესურსი 5. მოსწავლეთა ნამუშევრების პირველადი ვარიანტები

კომპლექსური დავალების წარდგენა

კომპლექსური დავალების წარდგენისას დასასმელი შეკითხვების ბანკი

- რატომაა შენი ნამუშევარი საინფორმაციო ტექსტი?;
- მხატვრული ტექსტიდან რომელი ინფორმაციაა მიღებული?
- რომელი ინფორმაციებია საინფორმაციო ტექსტებიდან?
- რაზე დაყრდნობით გამოყავი აბზაცები?
- მიზეზშედეგობრიობის აღმნიშვნელი რომელი სიტყვები გაქვს გამოყენებული?

- რა ცოდნა/ გამოცდილება დაგეხმარა საინფორმაციო ტექსტის შექმნაში?(ტ.3)
- რა სტრატეგიას მიმართე საინფორმაციო ტექსტების უკეთ გასაგებად? (ტ.1)
- რა სტრატეგიებს მიმართე საინფორმაციო ტექსტის შექმნისას?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე - რა გააკეთე,რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? განსაკუთრებით რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?